



ძირითადი საშუალების დამატება და სასტარტო ნაშთის დასმა

ძირითადი საშუალებების თანხლებისთვის თავდაპირველად უნდა მომზადდეს ძირითადი საშუალებების სია და სწორად იქნას შევსებული ძირითადი საშუალების ბარათი. ძირითად საშუალებებთან სამუშაოდ გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ძირითადი საშუალებები/ძირითადი საშუალებების სია“ და ახალი ჩანაწერის დასამატებლად ღილაკების სისტემიდან აირჩიეთ ღილაკი  (ან კლავიატურაზე Insert). იხილავთ ძირითადი საშუალების ბარათს.



ველი „შტრიხ კოდი“ სისტემამ ავტომატურად შეავსო, თუმცა შეცვლა შესაძლებელია. მიუთითეთ ძირითადი საშუალების დასახელება, მაგალითად კომპიუტერი.

თუ გსურთ ძირითადი საშუალებების დაჯგუფება რაიმე შინაარსის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ველში „საგნის ჯგუფი“ შეიტანეთ ჯგუფის დასახელება. იმ შემთხვევაში, თუ

საგნის ჯგუფების სია წინასწარ გაქვთ მომზადებული აღნიშნულ ველში ჯგუფის შეტანის დროს ჩამოიშლება იმ ჯგუფების სია, რომლებიც იწყება თქვენს მიერ აკრეფილი სიმბოლოებით და აირჩიეთ სასურველი. ახალი ჯგუფის დასამატებლად კი ღილაკით- გამოიძახეთ საგნის ჯგუფების სია და დაამატეთ სასურველი ჯგუფი მაგალითად - საოფისე ტექნიკა. იგივენაირად შეგიძლიათ შეავსოთ ველი „მწარმოებელი“. ამავე ეკრანში ძირითად საშუალებას განუსაზღვრეთ ის ღირებულების ცენტრი, რომელშიც უნდა შესრულდეს ძირითად საშუალებასთან დაკავშირებული ოპერაციები. ჩვენს შემთხვევაში დავტოვოთ უცვლელი. ველში „ერთეული“ მიუთითეთ ის ერთეული, რომელშიც აღირიცხება ძირითადი საშუალება.

ველში „საინვენტარიზაციო ნომერი“ შეიტანეთ ორგანიზაციაში ძირითადი საშუალებისთვის მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომერი. მაგალითად 0001 და მიუთითეთ რაოდენობა -5

ველში „საბალანსო ღირებულების მშობელი ანგარიში“ მიუთითეთ ის ანგარიში, რომლის ქვეშაც უნდა გაიხსნას ძირითადი საშუალების ქვე ანგარიში და დაისვას საბალანსო, ისტორიული ღირებულება. ამისათვის აღნიშნულ ველში შეიტანეთ სასურველი ანგარიშის ნომერი, იხილავთ ანგარიშების ჩამონათვალს, რომლებიც იწყება თქვენ მიერ აკრეფილი ციფრებით, ან ველის გასწვრივ არსებული ღილაკით გამოიძახეთ ანგარიშთა გეგმა და აირჩიეთ სასურველი ანგარიში, მაგალითად 2160. ველში „ცვეთის დარიცხვის მშობელი ანგარიში“ კი უნდა მიუთითეთ ის ანგარიში, რომელზეც მოხდება დარიცხული ცვეთის თანხების აკუმულირება. მაგალითად 2260. ამ შემთხვევაშიც გაიხსნება ძირითადი საშუალების ქვე ანგარიში.

იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალება მცირეფასიანია, მოუნიშნეთ შესაბამისი მოსანიშნი „მცირეფასიანი“. გაითვალისწინეთ, რომ მცირეფასიან ძირითად საშუალებებზე არ მოხდება ცვეთის დარიცხვა.

მოსანიშნები „ჩამოწერილია“, „დახურულია დაშლის შედეგად“ და „დახურულია გაერთიანების შედეგად“ ავტომატურად მონიშნება შესაბამისი ოპერაციების შესრულების შემდეგ. თუმცა ამ ველების მონიშვნა თქვენც შეგიძლიათ მასზე მაუსის დაჭერით.

ველში „პასუხისმგებელი პირი“ შეგიძლიათ მიუთითოთ თანამშრომელი, რომელსაც გადაეცემა ძირითადი საშუალება და ველში „განყოფილება“ აირჩიოთ სასურველი განყოფილება. ველში „გადაეცა“ ხდება იმ თარიღის მითითება, როდესაც მოხდა ამ ძირითადი საშუალების პასუხისმგებელ პირზე გადაცემა. ამავე ეკრანში შეგიძლიათ ძირითად საშუალებას განუსაზღვროთ დღგ-ს ტიპი, ამისათვის აღნიშნული ველის გასწვრივ ჩამოშლად სიიდან აირჩიეთ სასურველი ჩანაწერი. ველში „კომენტარი“ შეიტანეთ ძირითად საშუალებასთან დაკავშირებული სასურველი ინფორმაცია. საბოლოოდ ეკრანს ექნება შემდეგი სახე.

ახალი ძირითადი საშუალებები

შტრის კოდი 1
 დასახელება კომპიუტერი

მთავარი თარიღები ცვეთა სხვადასხვა

საგნის ჯგუფები საოფისე ტექნიკა
 მწარმოებელი
 ღირებულების ცენტრი საერთო ღირებულების ცენტრი
 საინვენტარიზაციო ნომერი 0001
 რაოდენობა 5 ერთეული ცალი
 საბალანსო ღირებულების მშობელი 2160
 ცვეთის დარიცხვის მშობელი ანგარიში 2260
 მცირეფასიანი
 ჩამოწერილი
 დახურული დამლის შედეგად
 დახურული გაერთიანების
 პასუხისმგებელი პირი
 გადაცემა
 განყოფილება
 დღ-ს ტიპი ჩვეულებრივი
 კომენტარი

შევიწახოთ უარი

განვიხილოთ ბარათი „თარიღები“

ახალი ძირითადი საშუალებები

შტრის კოდი 1
 დასახელება კომპიუტერი

მთავარი თარიღები ცვეთა სხვადასხვა

წარმოების თარიღი
 მიღების თარიღი
 ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი
 ვარგისიანობის თარიღი
 დახურვის თარიღი

ამ ეკრანში შესაძლებელია ძირითად საშუალებას მიეთითოს: წარმოების, მიღების, ექსპლუატაციაში შესვლის, ვარგისიანობის და დახურვის თარიღი. მიღების თარიღი მიღების ოპერაციის შესრულების შემდეგ ავტომატურად ივსება.

ბარათში „ცვეთა“ უნდა შეავსოთ ცვეთის დარიცხვის ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ველი. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ცვეთის დარიცხვის მეთოდი. ცვეთის დარიცხვის მეთოდის არჩევის შემდეგ აქტიურდება ის ველები, რომლებიც მონაწილეობს

ამ კონკრეტულ მეთოდით ცვეთის დაანგარიშებაში. იხ. დოკუმენტაცია „ძირითადი საშუალების ცვეთა“.

ჩვენს შემთხვევაში ველის „ცვეთის დარიცხვის მეთოდი“ გასწვრივ ჩამოშლად სიიდან ავირჩიოთ -წრფივი

ახალი ძირითადი საშუალებები

შტრიხ კოდი: 1

დასახელება: კომპიუტერი

მთავარი | თარიღები | ცვეთა | სხვადასხვა

ცვეთის დარიცხვის მეთოდი: წრფივი

საბალანსო ღირებულება: 0 (A)

ცვეთა შეძენის დოკუმენტით: 0

სალიკვიდაციო ღირებულება: 0 (R)

მომსახურების ვადა: 0 (J)

პროდუქციის რაოდენობა მომსახურების ვადაში: 0 (K)

პროდუქციის რაოდენობა დასარიცხ პერიოდში: 0 (L)

მომსახურების დარჩენილი თვეების რაოდენობა: 0 (M)

ცვეთის წლიური კოეფიციენტი: 0 (B)

დარიცხვის თვეების რაოდენობა: 0 (C)

წარჩენი ღირებულება: 0 (D)

ცვეთის დასარიცხი თანხა: 0 (E) $D \leq E ? D : ((A-R)/(T*12))*C$

ჯამური ცვეთა: 0 (G) A-D

საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა: 0 (F)

ჯამური ცვეთის გადაფასების თანხა: 0 (S) $G*(F*100/A)/100$

შევიწახოთ უარი

შევასოთ ველები: საბალანსო ღირებულება-10000 (იგულისხმება 5 ერთეულის ღირებულება). ყურადღება მიაქციეთ, რომ საბალანსო ღირებულების შევსების დროს ავტომატურად ივსება წარჩენი ღირებულებაც. მომსახურების ვადა-10. დარიცხვის თვეების რაოდენობა -12. დარიცხვის თვეების რაოდენობის მითითების შემდეგ სისტემა ავტომატურად შეავსებს ცვეთის დასარიცხ თანხას.

ახალი ძირითადი საშუალებები

შტრის კოდი 1

დასახელება კომპიუტერი

მთავარი თარიღები ცვეთა სხვადასხვა

ცვეთის დარიცხვის მეთოდი წრფივი

საბალანსო ღირებულება 10000 (A)

ცვეთა შემენის დოკუმენტი 0

სალიკვიდაციო ღირებულება 0 (R)

მომსახურების ვადა 10 (J)

პროდუქციის რაოდენობა მომსახურების ვადაში 0 (K)

პროდუქციის რაოდენობა დასარიცხ პერიოდში 0 (L)

მომსახურების დარჩენილი თვეების რაოდენობა 0 (M)

ცვეთის წლიური კოეფიციენტი 0 (B)

დარიცხვის თვეების რაოდენობა 12 (C)

ნარჩენი ღირებულება 10000 (D)

ცვეთის დასარიცხი თანხა 1000 (E) $D \leq E ? D : ((A-R)/(J*12)) * C$

ჯამური ცვეთა 0 (G) A-D

საბალანსო ღირებულების გადაფასების თანხა 0 (F)

ჯამური ცვეთის გადაფასების თანხა 0 (S) $G * (F * 100 / A) / 100$

შევიწახოთ უარი

როგორც ეკრანზე ხედავთ თითოეული ველის გასწვრივ მოცემულია ლათინური ასოები. მაგალითად საბალანსო ღირებულებას შეესაბამება (A), მომსახურების ვადას-(J), დარიცხვის თვეების რაოდენობას-C და ა.შ. აღნიშნული ლათინური ასოები გამოიყენება ძირითადი საშუალების სხვადასხვა თანხების დაანგარიშების ფორმულებში.

ცვეთის დასარიცხი თანხა 1000 (E) $D \leq E ? D : ((A-R)/(J*12)) * C$

ჯამური ცვეთა 0 (G) A-D

მარტივი მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ ჯამური ცვეთის დაანგარიშების ფორმულა- (A-D). სადაც A-ეს არის ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება, ხოლო D-ნარჩენი ღირებულება. მათ შორის სხვაობა კი ნარმოადგენს ჯამურ ცვეთის თანხას.

ფორმულების ველებში შესაძლებელია ცვლილებების შეტანაც. სისტემა დაიმახსოვრებს თქვენს მიერ შეტანილ ცვლილებებს და მომდევნო ჯერზე ოპერაციების შესრულების დროს გამოიყენებს თქვენს მიერ მითითებულ ფორმულას. ასევე შესაძლებელია პირობის გამოყენება. მაგალითად განვიხილოთ ცვეთის დასარიცხი თანხის ფორმულა. „?“-ნიშნით გამოყოფილია პირობის ნაწილი. მაგალითად ჩვენს შემთხვევაში პირობაა: $D \leq E$ ანუ თუ ნარჩენი ღირებულება (D) \leq ცვეთის დასარიცხ თანხაზე (E) და ეს პირობა ჭეშმარიტია, მაშინ შესრულდება „?“-სა და „:“-მდე გამოსახული გამოსახულება (D) ანუ ცვეთის დასარიცხი თანხა შეივსება ნარჩენი ღირებულებით, ხოლო თუ პირობა მცდარია, მაშინ შესრულდება „:“-ის შემდეგ მითითებული გამოსახულება $((A-R)/(J*12)) * C$

ბარათში „სხვადასხვა“ მოცემულია სხვადასხვა სახის საინფორმაციო ველები

სურვილის შემთხვევაში შეავსეთ ველები და დააჭირეთ ღილაკს „შევიწახოთ“

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ცვლის დარიცხვის მეთოდი	საინვენტარიზაციო ნომერი	მიღების თარიღი	სამალანსო ღირებულება	სალიკვიდაციო ღირებულება	მომსახურების ვადა	პროდუქციის რაოდენობა მომსახურების ვადაში
1	კომპიუტერი	5	ცალი	წრფივი	0001		10000.00		10.0000	

ძირითადი საშუალებების სიაში დაემატება ძირითადი საშუალება. ძირითადი საშუალების დამატების შემდეგ, საბალანსო და ჯამური ცვლის ანგარიშების ქვეშ სისტემა ავტომატურად გახსნის ძირითადი საშუალების ქვეანგარიშებს. ვნახოთ ანგარიშები, ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ბუღალტერია/ანგარიშთა გეგმა“

ანგარიში	დასახელება
- 2150	მანქანა-დანადგარები
- 2160	ოფისის აღჭურვილობა
2160 3	1 კომპიუტერი
- 2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი
- 2180	სატრანსპორტო საშუალებები
- 2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა
- 2200	ძირითადი საშუალებების ცვლა
- 2210	მიწის ნაკვეთები
- 2220	დაუმთავრებელი მშენებლობა
- 2230	შენობის ცვლა
- 2240	ნაგებობების ცვლა
- 2250	მანქანა-დანადგარების ცვლა
- 2260	ოფისის აღჭურვილობის ცვლა
2260 3	1 კომპიუტერი
- 2270	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვლა
- 2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვლა

დავბრუნდეთ ძირითადი საშუალებების სიაში. აღსანიშნავია, რომ ძირითადი საშუალებების დამატების დროს შეიძლება ჩანანერმა მიიღოს სხვადასხვა შეფერილობა. განვიხილოთ მსგავსი შემთხვევები. გააკორექტირეთ თქვენს მიერ დამატებული ძირითადი საშუალება. ყურადღება მიაქციეთ ველებს

- ჩამოწერილია
- დახურულია დაშლის შედეგად
- დახურულია გაერთიანების

როგორც ხედავთ სამივე ველს აქვს ვარდისფერი შეფერილობა, ხოლო ველების დასახელებებს წითელი, ლურჯი და მწვანე შეფერილობა. იმ შემთხვევაში თუ მონიშნავთ ველს „ჩამოწერილია“ და შეინახავთ ძირითადი საშუალებას დაინახავთ, რომ ძირითადი საშუალების სიაში ჩანანერს ექნება ვარდისფერი ფონი, ხოლო ჩანანერის ფონტის ფერი იქნება წითელი.

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ცვეთის დარიცხვის მეთოდი	საინვენტარიზაციო ნომერი	მიღების თარიღი	საბალანსო ღირებულება	სალიკვიდაციო ღირებულება	მომსახურების ვადა	პროდუქტი რაოდენობა მომსახურე
1	კომპიუტერი	5	ცალი	წრფივი	0001		10000.00		10.0000	

თუ გადანიშნავთ ველს „ჩამოწერილია“ და მონიშნავთ მოსანიშნს „დახურულია დაშლის შედეგად“ , ჩანანერის ფონი კვლავ იქნება ვარდისფერი, ხოლო ფონტის ფერი- ლურჯი. მოსანიშნის „დახურულია გაერთიანების შედეგად“ მონიშვნის შემთხვევაში კი ჩანანერის ფონი იქნება ვარდისფერი, ხოლო ფონტის ფერი მწვანე.

თუ ძირითადი საშუალების ბარათში, კონკრეტულად „თარიღები“ მიუთითებთ დახურვის თარიღს და შეინახავთ , ძირითადი საშუალების ჩანანერი მიიღებს ვარდისფერ შეფერილობას, ხოლო ფონტის ფერი იქნება შავი.

გააკორექტირეთ ძირითადი საშუალება, გადაუნიშნეთ ყველანაირი მოსანიშნი და გადადით ბარათში „ცვეთა“. იმ შემთხვევაში თუ ცვეთის დასარიცხ თანხას გაანულებთ

ველი მიიღებს ცისფერ შეფერილობას. შესაბამისად ღილაკზე „შევიწახოთ“ დაჭერით დაინახავთ, რომ ძირითადი საშუალებების სიაშიც ჩანანერს ექნება ცისფერი ფონი.

კოდი	დასახელება	რაოდენობა	ერთეული	ცვეთის დარიცხვის მეთოდი	საინვენტარიზაციო ნომერი	მიღების თარიღი	საბალანსო ღირებულება	სალიკვიდაციო ღირებულება	მომსახურების ვადა	პროდუქტი რაოდენობა მომსახურე
1	კომპიუტერი	5	ცალი	წრფივი	0001		10000.00		10.0000	

იმ შემთხვევაში თუ ძირითადი საშუალების ბარათში „ცვეთა“ ცვეთის დასარიცხი თანხა გადააჭარბებს ნარჩენ ღირებულებას

დარიცხვის თვეების რაოდენობა	12	C)
ნარჩენი ღირებულება	10000	D)
ცვეთის დასარიცხი თანხა	10100	E) D<=E ? D : ((A-R)/(J*12))*C


ძირითადი საშუალებების სიაში ჩანაწერი მიიღებს მწვანე შეფერილობას. ამგვარად ჩანაწერის ფერების მიხედვით შესაძლებელია გაარჩიოთ ძირითადი საშუალებები მათი თვისებების მიხედვით. დავუბრუნოთ ჩვენს მიერ დამატებულ ძირითად საშუალებას საწყისი მონაცემები.

ძირითადი საშუალების სიაში ჩანაწერის დამატების შემდეგ ავტომატურად არ ხდება ამ ძირითადი საშუალების ასახვა ბუღალტრულ ნაშთებში. ნაშთებში რომ აისახოს უნდა დავსვათ ძირითადი საშუალების სასტარტო ნაშთი ან შევასრულოთ მიღების ოპერაცია. მიღების ოპერაციის შესასრულებლად იხ. დოკუმენტაცია „საქონლის მიღება“. გაითვალისწინეთ, რომ ძირითადი საშუალების მიღების დროს მიღების ოპერაციაში, საგნის სახეობაში უნდა აირჩიოთ „ძირითადი საშუალება“, ხოლო მშობელ ანგარიშში უნდა მიუთითოთ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების ანგარიში მაგალითად 2160,2150 და ა.შ.

სასტარტო ნაშთების დასასმელად კი ძირითადი საშუალების სიაში მონიშნეთ სასურველი ჩანაწერ(ებ)ი და აირჩიეთ ღილაკი -დავსვათ სასტარტო ნაშთები.



იხილავთ ეკრანს




გამოტანილ ფანჯარაში მოცემულია შეტყობინება იმის შესახებ, თუ როგორ ძირითად საშუალებებზე მოხდება სასტარტო ნაშთების დასმა. ეკრანის ქვედა ნაწილში უნდა მონიშნოთ მოსანიშნი იმის მიხედვით, სრულ სიაზე გსურთ სასტარტო ნაშთების დასმა თუ

მონიშნულ ჩანაწერებზე. ვინაიდან ჩვენს შემთხვევაში გვაქვს მხოლოდ ერთი ჩანაწერი დავტოვოთ უცვლელი და დააჭირეთ ღილაკს "OK". გაითვალისწინეთ, რომ სასტარტო ნაშთების დასმა მოხდება საბალანსო ღირებულებით და ჯამური ცვთის თანხით(თუ ძირითად საშუალებას გააჩნია აკუმულირებული ცვთა.) იმ ანგარიშებზე და ღირებულების ცენტრით, რომელიც მითითებულია კონკრეტული ძირითადი საშუალების ბარათში. ჩვენს შემთხვევაში სასტარტო ნაშთი დაისმევა 2160 ანგარიშზე საერთო ღირებულების ცენტრში.

სასტარტო ნაშთების ნახვა შესაძლებელია მენიუდან „ამოცანები/ბუღალტერია/პარამეტრები/ სასტარტო ნაშთები/სასტარტო ნაშთები ანგარიშთა გეგმის მიხედვით“ ან „ყველა სასტარტო ნაშთი“.


ანგარიში	დასახელება	საწყისი დებეტი ნაშთი	საწყისი კრედიტი ნაშთი	საწყისი რაოდენობა	ერთეული
- 2140	ნაგებობები				
- 2150	მანქანა-დანადგარები				
- 2160	ოფისის აღჭურვილობა	10000.00			
- 2160 3	1 კომპიუტერი	10000.00		5.0000	ცალი
- 2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი				
- 2180	სატრანსპორტო საშუალებები				
- 2190	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა				
- 2200	ძირითადი საშუალებების ვალია				
		10000.00			


სასტარტო ნაშთების ნახვა ასევე შესაძლებელია ძირითადი საშუალების სიიდან. დავბრუნდეთ ძირითად საშუალების სიაში. დადექით ჩანაწერზე და ღილაკების სისტემიდან ღილაკის გასწვრივ შავ ისარზე დაჭერით გამოტანილ მენიუდან აირჩიეთ „ძირითადი საშუალების ბარათი“



იხილავთ ეკრანს

ბაღ	დღე	ოპერაცი	კორესპონ	კორესპონ	დებეტი	კრედიტი	სადებეტი	საკრედიტი	დებეტი	კრედიტი	მარაგის	ოპერაცი
	დას	თარიღი	ანგარიში	ანგარიში	თანხა	თანხა	ნაშთი	ნაშთი	საღრიცხო	საღრიცხო	ნაშთი	
			საწყისი				10,000.00				5.0000	
			საბოლ...				10,000.00				5.0000	

იმ შემთხვევაში, თუ არ ჩანს რაოდენობრივი ნაშთები, ეკრანის ზედა ნაწილში მაუსით დააჭირეთ- პერიოდი [01.01.2021 - 27.02.2021]  GEL. გამოსულ ეკრანში მონიშნეთ ველი „ვაჩვენოთ რაოდენობრივი სიდიდეები“



საბოლოოდ დააჭირეთ ღილაკს „OK“